პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 მარტი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 44 (9455) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული რეგიონებისადმი მატერიალური დახმარების ფონდში კვლავ გრძელდება ფულადი სახსრების შეტანა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ გურამ მინაშვილმა გვაცნობა, რომ ინსტიტუტის კოლექტივმა ხუთი დღის ხელფასი გადარიცხა № 700 ანგარიშზე. ფიზაღზრდის კათედრის თანამშრომლებმა და მოწინავე სპორტსმენებმა დახმარების ფონდში დამატებით შეიტანეს 1275 მანეთი.

● სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ოლიმპიური რეზერვის ქიდაობის სპეციალიზებულმა სკოლამ 1070 მანეთი გაიღო, — გვატყობინებს სკოლის დირექტორი ელგუჯა თვალჭრელიძე.

● თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის სპორტსკოლამ № 700 ანგარიშზე შეიტანა 890 მანეთი. ეს ცნობა ამავე სკოლის დირექტორმა თამაზ ანთაძემ მოგვაწოდა.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა კოლეგიის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ინფორმაცია გააკეთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კახი ასათიანმა. კოლეგიამ აღნიშნა, რომ კოლექტივი ენერგიულად ემზადებოდა სეზონისთვის. გუნდში გაჯანსაღდა საერთო ატმოსფერო, ამაღლდა მოთამაშეთა პასუხისმგებლობა. ქვემოთ გთავაზობთ წერილს, რომელიც ერთგვარად აჯამებს გუნდის მიერ მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებულ მუშაობას.

გრძელი, ძნელი გზის დასაწყისი

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უმაღლეს ლიგაში, თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა, საბჭოთა კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე მონაწილეობა მიიღეს შავიზღვისპირეთის ქალაქებში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მათს გარდა, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კიევის, მოსკოვისა და მინსკის დინამოელები, უნგრეთის ოთხგზის ჩემპიონი — ბუდაპეშტის „ჩეპელი“, პოლონეთის ხუთგზის ჩემპიონი — კრაკოვის „ვისლა“ (ახლა ორივე კლუბი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ლიგაში გამოდის), აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის პირველი ლიგის კლუბები, ხების „რუდა ჰვეზდა“ და ოლომოუცის „სიგმა“. დებულების თანახმად, ერთმანეთს ხვდებოდნენ მხოლოდ მასპინძლები და სტუმრები.

ყველაზე უკეთ თბილისის „დინამომ“ იასპარეზა, თბილისელებმა სამი მატჩი მოიგეს, ერთი კი ფრედ დაამთავრეს და შვიდი ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. მოსკოვის „დინამომ“ ექვსი ქულა მოაგროვა, ლანჩხუთის „გურიამ“ და ხების „რუდა ჰვეზდამ“ — ხუთხუთი.

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით (1:0) დაამარცხეს „სიგმა“ და „ჩეპელი“, ფრედ (2:2) ითამაშეს „ვისლასთან“ და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ („რუდა ჰვეზდასთან“ — 0:3). ეს „გურიისთვის“ ურიგო შედეგი არ არის, მით უმეტეს, როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე კოტრიკაძემ აღნიშნა, ჩემპიონატის დაწყებამდე უმაღლესი ლიგის დებიუტანტის თამაში კიდევ უფრო დაიხვეწება. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კოტრიკაძისა და „ლელოს“ მკითხველების ბოლო შეხვედრის შემდეგ „გურიის“ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა: გუნდიდან წავიდნენ გამოცდილი ფეხბურთელები კარლო მჭედლიძე და სერგეი შვეცოვი, სამაგიეროდ კოლექტივში ჩაირიცხა მალხაზ მახარაძე. გარდა ამისა, დაინიშნა გუნდის ექიმი — დიმიტრი ზაალიშვილი. შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე კოტრიკაძესთან ერთად მუშაობდნენ გუნდის უფროსი გიორგი ბაქანიძე, მწვრთნელები ბეგი სიხარულიძე და გულსუნდა დუნდუა, მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი. გუნდის ადმინისტრატორია იაკობ ორმოცაძე.

რაც შეეხება ტურნირში გამარჯვებულს, საქართველოს უძლიერეს გუნდს თბილისის „დინამოს“, მის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული (კოლექტივმა ერთ-ერთი საპრიზო ადგილის დაკავება ივალდებულა). ამიტომ მისგან არა მარტო მეტს ველით, მეტსაც მოვითხოვთ. თითქმის მთელი მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე გუნდთან ერთად ვიყავი და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: „დინამოს“ ახალმა ხელმძღვანელობამ შეძლო პირველი, ერთ-ერთი მთავარი პრობლემის გადაჭრა — კოლექტივში სასურველი მიკროკლიმატის შექმნა. ფეხბურთელებმა დაძლიეს არაჯანსაღი ურთიერთობით გამოწვეული, უკიდურესობამდე მისული ნერვული დაძაბულობა. კვლავ აღდგა ამხანაგური, კოლეგიალური დამოკიდებულება, იგრძნობა მოთამაშეთა და მწვრთნელთა შორის ურთიერთპატივისცემა. ფეხბურთელები დიდი ენთუზიაზმით, ხალისით ვარჯიშობენ. საგულისხმოა, რომ ძირითად შემადგენლობაში ზოგიერთ ადგილზე ჯანსაღი კონკურენციის ნიშნები გამოჩნდა, რაც, ვფიქრობ, მაღალი კლასის გუნდის შექმნის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ცხადია, „დინამო“ ჯერ კიდევ შორს არის იმ იდეალისგან, გულშემატკივარი რომ ოცნებობს, მაგრამ კოლექტივის თითოეული წევრის მონდომება, საქმისადმი სერიოზული, პროფესიული მიდგომა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა იმედიანად განგვაწყობს. სასიკეთო ცვლილებები უშუალოდ მინდორზე, თამაშშიც შეიმჩნევა.

ის. მე-4 გვ.

საქართველოს ჩემპიონატი აკრობატიკაში

დიდი გამოცდა წინ ელით

აკრობატ ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში კარგა ხანია შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონ ანატოლი სლივკოვის ოთხეულსა (გოდერძი ახობაძე, გია ალაპიშვილი, ოლეგ სლივკოვი, ვახტანგ ბოტკოველი) და ალექსანდრე მაკრანგელოვის შეგირდებს (ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია, ემზარ აბუაშვილი) შორის. საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც „შრომითი რეზერვების“ სპორტის სასახლეში გაიმართა, ყველაზე დიდი ინტერესი სწორედ ამ ორი ოთხეულის მეტოქეობამ გამოიწვია. სლივკოვის ოთხეულმა 20 უმაღლესი ჯგუფის ვარჯიში შეასრულა (სწორედ ამ პროგრამით მოუწევს გამოსვლა ერევანში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე) და ნებისმიერ და ფინალურ ორ ვარჯიშში დაჯაბნა მეტოქეები, მაგრამ ბოლო გამოსვლაში აკრობატებმა სამი უხეში შეცდომა დაუშვეს და სამი ქულა დაკარგეს. მავრანგელოვის ოთხეულმა კვლავ სტაბილურად, უშეცდომოდ იასპარეზა და ჩემპიონის სახელიც მოიპოვა. გამარჯვებულ ოთხეულს მხოლოდ პირამიდა ჰქონდა შედარებით ნაკლები სირთულის.

მადონა კილაძე.

შეჯიბრებაზე ორიგინალური პროგრამით წარსდგნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები წყვილთა შორის ნატალია ვეტოშკინა და მზია კოსტავა. მათ შეასრულეს რანდატ უკუმალაყი 360 გრადუსით და ხელყირით, თუმცა ეს ვარჯიში ამჯერად არ გამოუვიდათ, მაგრამ ჩემპიონის წოდება (მეოთხედ!) მაინც მოიპოვეს.

ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში არ გამოსულან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა და მათი ახალი პარტნიორი სვეტლანა მაკარიჩევა. გოგონები სვეტლანას მშობლიურ ქალაქ ტალინში ემზადებოდნენ ერევანში საასპარეზოდ. ამ ვარჯიშში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა შედარებით უცნობმა გია კაკაშვილის სამეულმა, ეკა ბედოევის, ინგა მეტრეველისა და ფატი გასიშვილის შემადგენლობით.

სუსტად იასპარეზეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა შერეულ წყვილთა თანრიგში კარინა სარქისიანმა და ჰამლეტ ღარიბოვმა. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მათი მწვრთნელი ვლადიმერ გურგენიძე ტალინში იმყოფებოდა სამეულთან და სპორტსმენებს რეჟიმი დაერღვათ.


ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია, ემზარ აბუაშვილი.

ის. მე-3 გვ.

პროგრესი აშკარაა

საერთაშორისო ტურნირი სინქრონულ ცურვაში ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ პრიზზე

კანადელი და ამერიკელი სინქრონული ცურვის ოსტატები სპორტის ამ სახეობაში კანონმდებლებად ითვლებიან. მათი მონაწილეობა ნებისმიერი ასპარეზობის ავტორიტეტს ამაღლებს. ახლახან ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები მოსკოვში, ოლიმპიურ სპორტკომ-

ის. მე-3 გვ.

ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი

გამარჯვება უნგრეთის ნაკრებთან

ბაქოში დაიწყო XIII საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ჟურნალ „სმენას“ პრიზისთვის ათი გუნდი ასპარეზობს. ისინი ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველ ჯგუფში გამოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირი-I, უნგრეთისა და საქართველოს გუნდები. მეორე ჯგუფში თავი მოიყარეს ბულგარეთის, პოლონეთის, შვეციის, საბჭოთა კავშირი-II და აზერბაიჯანის კოლექტივებმა. გაგაცნობთ პირველი ორი ტურის შეხვედრათა შედეგებს: **I ჯგუფი:** უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია 1:1, საბჭოთა კავშირი-I — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 5:1, **საქართველო — უნგრეთი** 3:0 (გოლები გაიტანეს კერძევაძემ, ბარამიძემ და ყაველაშვილმა), ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირი-I 1:1. **II ჯგუფი:** აზერბაიჯანი — ბულგარეთი 1:1, შვეცია — პოლონეთი 1:2, პოლონეთი — საბჭოთა კავშირი-II 0:0, ბულგარეთი — შვეცია 2:0.

(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

ოლიმპიელთა მატჩი

სოჭის ცენტრალურ სტადიონზე ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ოლიმპიურ ნაკრებში გამოდიოდნენ: პრუდნიკოვი, კეტაშვილი (ჩედია, 46), სკლიაროვი, იაროვენკო, ლოსევი, კარატაევი, ტიშჩენკო (ვ. კუზნეცოვი, 46), ვოროზიოვი (ლენდელი, 46), ბოროდიუკი, დობროვოლსკი ბარანაუსკასი.

* * *

ტელეტაიპი - მკითხველი

ვერა (გფრ). სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა 25-ე ამხანაგური მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 223:159.

ჰანოვერი (გფრ). საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში „ჰანოვერის ოქროს ხმალი“ ბულგარელმა გიორგი ჩომაკოვმა მოიგო. საბჭოთა სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგი — მეოთხე ადგილი სერგეი კორიაჟკინს ჰქონდა.

ტურინი. რაპირისტ ქალთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი, რომელიც იტალიის ამ ქალაქში ჩატარდა, მასპინძელთა გუნდის წევრ მარგერიტ ძალაფის გამარჯვებით აღინიშნა. საბჭოთა მოფარიკავე ოლგა ვოშჩაკინა მეოთხე ადგილზე გავიდა.

ოსლო. დამთავრდა კლასიკური სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი „პერ გიუნტი“. საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გამარჯვებულთა შორის არიან: ომსკელი სერგეი სუვოროვი (48 კგ), როსტოველები სერგეი ბულანოვი (57 კგ), კამილ მუსაევი (62 კგ), სერგეი ნასევიჩი (82 კგ) და ჩელიაბინსკელი ვლადიმერ გრიგორიევი (130 კგ). საბჭოთა მოჭიდავეებმა 15 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

კალგარი. დამთავრდა ორადგილიან ბობსლეისტთა შეჯიბრება მსოფლიო თასის პროგრამით. რიგელმა იანის კიპურსმა და კრასნოიარსკელმა ვლადიმერ ალექსანდროვმა IV ადგილი დაიკავეს. პირველობა კი გდრ-ის ეკიპაჟმა მოიგო.

ბუქარესტი. მეგობრული არმიების ზამთრის XI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხილამურეთა შეჯიბრებაში 30 კილომეტრზე რბოლა გდრ-ის წარმომადგენელ ჰ. ბაუროტის გამარჯვებით დამთავრდა. სპარტაკიადის მესამე ეტაპის პროგრამა მოცავეებისა და ბობსლეისტთა შეჯიბრებას მოიცავს. იგი ჩატარდება მარტის ბოლოს გდრ-ში.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ელვა-ინფორმაცია

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო მოსკოვის არმიელთა გუნდი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 77:67 (36:30).

ახლო, შორეული წარსულისაგან

ოთარ ქორქია

კალათბურთის ცნობილმა სპეციალისტმა, სსრ კავშირის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე გომელსკიმ დაწერა წიგნი კალათბურთში სსრ კავშირის უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელებზე. წიგნში ჩვენი რესპუბლიკიდან შევიდნენ ოთარ ქორქია, ანზორ ლეჟავა, ამირან სხიერელი და ნიკოლოზ დერიუგინი. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ერთ თავს ამ წიგნიდან.

კალათბურთში ოჯახური დინასტიები უფრო იშვიათია, ვიდრე სპორტის სხვა სახეობებში. მემკვიდრეობა, გენეტიკური კოდი, ყველა სპორტულ ოჯახში დიდ როლს თამაშობს, მაგრამ კალათბურთში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა, რომ სიმაღლე, რაც კალათბურთისთვის მთავარია, ყოველთვის როდი გადაეცემათ ხოლმე შვილებს „მემკვიდრეობით" მამებისაგან. ამიტომაც არის, რომ სულ რამდენიმე მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ: მამა-შვილი მუიჟნიეკსები, მამა-შვილი ბუტაუტასები, მამა-შვილი ტრავინები (აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ დასახელებულთაგან მხოლოდ უმცროსი ტრავინი თუ გაუტოლდებოდა ოსტატობით თავის სახელოვან მამას). მართალია, ჩვენს ოჯახსაც შეიძლება კალათბურთის მიმდევართა ოჯახი ეწოდოს, ოღონდ — აშკარად „მწვრთნელის განხრით". ჩემი უმცროსი ძმა ევგენი, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გახლავთ; ამ სარბიელზე ბედი სცადა ჩემმა უფროსმა ვაჟმა ვლადიმერმაც, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, და მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა.

...ქორქიების გვარს ჩვენს კალათბურთში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ლეგენდარული ოთარ ქორქია საბჭოთა კალათბურთელთაგან პირველი ჭეშმარიტად საერთაშორისო კლასის ცენტრალური თავდამსხმელია; ის გახლავთ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ლენინის ორდენის კავალერი კალათბურთელ ვაჟთა შორის; პირველი, ვინც თვალნათლივ დაგვანახვა ცენტრალური თავდამსხმელის უდიდესი როლი კალათბურთში.

კარგი კალათბურთელი იყო მისი ვაჟი ნოდარიც, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას.

მაგრამ რაოდენ საინტერესო, რა დიდებული, რა არაორდინარული სპორტსმენი იყო თვითონ ის, ოთარ ქორქია!

ოთარი პირველი გამოჩენიდანვე ბრწყინავდა ჩვენს მოედნებზე — ჯერ კიდევ მრისხანე ორმოცდასამი წლიდან. ომის შემდეგ იგი მთელმა ევროპამ გაიცნო. საბჭოთა ქვეყნის ნაკრებმა, რომლის კაპიტანიც ოთარ ქორქია იყო, სამგზის გაიმარჯვა და ოქროს მედლები დაიმსახურა კონტინენტის ჩემპიონატებში, პირველი გამარჯვება იმ დროისათვის მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ჩეხოსლოვაკიელ კალათბურთელებთან ბრძოლაში გახლდათ მოპოვებული. მრავალი წლის შემდეგ კალათბურთის ცნობილი დიდოსტატები ივან მრაზეკი და ირჟი შკერჟიკი აღიარებდნენ, რომ მათ, უბრალოდ, ეშინოდათ სარბიელზე ოთარ ქორქიასთან შეხვედრისა. 1947 და 1951 წლების ჩემპიონატებში იგი იმდენად დამთრგუნველ გავლენას ახდენდა მეტოქეებზე, რომ, შეიძლება ითქვას, ისინი ჩვენს ნაკრებთან მატჩებს „წინასწარ", შეხვედრის დაწყებამდე აგებდნენ. ამ დამთრგუნველ გავლენას ქორქიას ფიზიკური ძალა როდი იწვევდა. მეტოქეს თრგუნავდა, პირველ ყოვლისა, მისი ნებისყოფის სიმტკიცე, ბრძოლის ჟინი და სულისკვეთება.

მოედანზე ისე შემართული, ისე დამუხტული გამოდიოდა, იტყოდი, ხელი რომ შევახო, ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებს გაყრისო. რაც მახსოვს, სულ ასეთი იყო.

არათუ მეტოქეები, რომელთაგანაც იგი ბევრს აღემატებოდა ძლიერებით, თვით მსაჯებიც კი, ის მკაცრი, მტკიცე და მიუდგომელი არბიტრები, აშკარად შებოჭილნი ჩანდნენ, როცა მოედანზე ოთარ ქორქია გამოდიოდა. მის დიდრონ ცისფერ თვალებში ჩაუმქრალი ალი გიზგიზებდა. ეს თვალები ელვას აკვესებდნენ და მრისხანებას აფრქვევდნენ, თუკი ვინმე ურჩობას გაბედავდა. ამ თვალებით ჰყავდა მონუსხული არბიტრებიც. გარდა იმისა, რომ თავისი ნამდვილი ათლეტური აღნაგობით პატივისცემასა და რიდს იწვევდა, შემოგხედავდა თუ არა, ღმერთმანი, შიში აგიტანდა.

სამწუხაროდ, საზღვარგარეთ მისი თვალების მომნუსხველი ძალა აგრერიგად არ მოქმედებდა არბიტრებზე. ეს მწვავედ იგრძნო ოთარ ქორქიამ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან, მთავარ ტურნირში. ეს კია, ქორქიას უკვე ისეთი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მის რეპუტაციას ველარაფერი შეარყევდა. ამის დასტური გახლდათ ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დააჯილდოვეს; ამასვე ადასტურებდა სპეციალისტთა აღტაცება და უმაღლესი შეფასება ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ, თუმცა ოთარ ქორქიამ ვერ შეძლო ბოლომდე ეთამაშა იმ ფინალურ შეხვედრაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესმა ნაკრებმა ძლივს მოუგო საბჭოთა გუნდს.

ოთარმა ოთხი ჯარიმის გამო მოედანი დატოვა, თუმცა, როგორც ამ მატჩის უშუალო მოწმენი ამბობენ, აქედან ორი აშკარად მსაჯების „გამოგონილი" იყო. ასე რომ არა, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მატჩი. როცა ქორქიამ ჯარიმების ლიმიტი ამოწურა, ანგარიში 22:22 იყო. საბოლოოდ კი შეხვედრა ასე დამთავრდა — 36:25.

მანამდე ამერიკელები თითქმის ყველა მეტოქესთან 100-100 ქულას აგროვებდნენ. მხოლოდ ბრაზილიელებმა შეძლეს მათთვის ასე თუ ისე სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ. და აი, ახლა 36 ქულას დასჯერდნენ. თან ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი და მეტოქე გუნდის მოთამაშეთა საშუალო სიმაღლის შედარებას, უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა. ჩვენს გუნდში ყველაზე მაღალი მოთამაშეები იყვნენ ოთარ ქორქია, ილმარ კულამი და ანატოლი კონევი. რაც შეეხება ამერიკელებს, კურლანდი ტანად 213 სანტიმეტრი იყო, ფრაიბერგერი — 210, ლოველეტი — 209. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, ოთარ ქორქიას რომ დროზე ადრე არ დაეტოვებინა მოედანი, არავინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა.

ოთარი მეტად ჭკვიანი, აზრიანი მოთამაშე იყო. მას კარგად ახსოვდა, რომ ფარქვეშ ასეთ გიგანტებთან ბრძოლაში ვერაფერს გახდებოდა. ამიტომ უშუალოდ ფარისაკენ გზის გაკაფვას მხოლოდ მაშინ ცდილობდა, როცა ბურთი ხელთ ჰქონდა. ასეთ დროს მას ველარავინ შეაჩერებდა. მაგრამ იქ ოთარ ქორქიამ სხვა ხერხებთან ერთად საშუალო მანძილიდან ტყორცნაც გამოიყენა, რაშიც იგი მუდამ გამოირჩეოდა სიზუსტით. ოთარი იყო ერთ-ერთი პირველი ცენტრალურ თავდამსხმელთა შორის, ვინც „მიმწოდებლის" ფუნქცია იტვირთა. მანამდე კი ცენტრალური თავდამსხმელის ამოცანები მხოლოდ საკუთარი ფარის დაცვითა და სხვის ფარზე იერიშის მიტანით შემოიფარგლებოდა. ოთარი გუნდის ტაქტიკასაც განსაზღვრავდა. გუნდი მასზე აგებდა თამაშს, იგი გუნდისთვის თამაშობდა. ბევრი დღევანდელი ცენტრალური თავდამსხმელისთვის მხოლოდ სასარგებლო იქნებოდა, ქორქიასაგან ზოგი რამ ესწავლა და მისი ოსტატობა გაეხსენებინა.

ოთარ ქორქიასთვის ბურთის წართმევა შეუძლებელი იყო. არც მიწოდებულ ბურთს დაკარგავდა, რაც უნდა ძლიერი და „მწვავე" ყოფილიყო პასი. მართალია, ზოგჯერ შეიძლება ვერ დაეჭირა ბურთი ასეთი პასის შემდეგ (განსაკუთრებით მაშინ, თუ ივან ლისოვი აწოდებდა), მაგრამ გული არ მოსდიოდა. შუბლში რომ მოხვედროდა ბურთი, მაშინვე გასძახებდა ლისოვს: „არა უშავს, ვანია, ყველაფერი რიგზეა. ჩემი ბრალია..."

ლისოვი და ქორქია მართლაც განსაცვიფრებელ წყვილს ქმნიდნენ. კალათბურთის ვირტუოზი, ტანმორჩილი ლისოვი და ძლიერი ათლეტი ქორქია იდეალურად ავსებდნენ ერთიმეორეს. ჩვენ მათი შესრულებით ალბათ პირველად ვნახეთ ნამდვილი კონტრიერიში, როცა ოთარმა ხელის მძლავრი მოქნევით წინ კარგა შორ მანძილზე გადააწოდა ბურთი ლისოვს, რომელიც უკვე გარღვევაზე გარბოდა და დააგვირგვინა კიდეც ეს თითქოს მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტური კომბინაცია. პოზიციური თავდასხმის დროს კი უკვე ლისოვი ეძებდა ქორქიას. მისი ზუსტი, ლამაზი, შედეგიანი პასები უმეტესად ოთარისაკენ იყო მიმართული. რაც შეეხება ფარს ქვემოდან ბურთის კალათში ჩაგდებას, ეს ქორქიასთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

მისი გოლიათური ძალა მართლაც განცვიფრებას იწვევდა. ქორქიას ფიზიკური ძლიერება უტყუარი კოზირი იყო როგორც თბილისის გუნდის, ისე ქვეყნის ნაკრებისთვის. ეს მყისვე მოგხვდებოდათ თვალში.

...საინტერესოა, რა იწვევს მხედველობის ამგვარ აბერაციას, ასეთ მატყუარა შთაბეჭდილებას, როცა ერთმანეთს უპირისპირებ თითქოსდა სავსებით შეპირისპირებად სიდიდეებს? ქორქია ტანად კულამის სიმაღლისა იყო, ოდნავ მაღალი იმავე, კრუსზე, სილინშზე, სერციავიჩუსზე. მარამ მე იგი ყოველთვის ყველა აქ ნახსენებ კალათბურთელზე მაღალი მეჩვენებოდა. დღეს ცსკა-ს მცველი (დიახ, დიახ, მცველი) ენდენი სიმაღლით ორი მეტრია, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოარჩევ ვერც ოდნავ მაღალ, ვერც ოდნავ დაბალ პარტნიორებსა თუ მეტოქეებში. ოთარ ქორქია კი, თუმცა ტანად 190 სანტიმეტრი იყო, თითქოს მთელი თავით მაღალი ჩანდა ყველა დანარჩენზე. ეტყობა, ამას განაპირობებდა როგორც თვით სპორტსმენის მასიური, ათლეტური ფიგურა, ისე თამაშის მანერა—ეს იყო „ტანკი", რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება.

ბუნებამ იგი უხვად დააჯილდოვა, მაგრამ თვითონაც ცდილობდა თანდაყოლილი ძალის განვითარებას. მძლეოსნობაში ვარჯიშობდა. ბადროს ტყორცნაში მის მიერ ჭაბუკთა შორის დამყარებული საკავშირო რეკორდი ათ წელზე მეტ ხანს უცვლელი იყო. საოცრად ძლიერი მხრები და კისერი ჰქონდა. ასე რომ, მჭიდრო მეურვეობისას შეჯახებას არათუ არ უფრთხოდა, პირიქით, თითქოს ეძებდა კიდეც ასეთ შესაძლებლობას, რათა თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. ოთარისთვის სულ ერთი იყო, ვინ იდგა მის წინ — საკავშირო შეჯიბრებებიდან კარგად ნაცნობი რომელიმე მოთამაშე თუ გოლიათი ამერიკელი. მე მგონი, ცოტა თავიც მოსწონდა ძალით. მთავარი იყო, დროულად მიეწოდებინა ბურთი და მერე, თუნდაც სამი მცველი გადასდგომოდა წინ, სულ ერთია, მიზანს მიაღწევდა. მახსოვს, საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჩვენი გუნდი ფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ხვდებოდა, შესვენებისას დამახასიათებელი ქართული აქცენტით ეუბნებოდა ბიჭებს: რამდენსაც მომაწოდებთ, იმდენს ჩავაგდებო... და ასრულებდა კიდეც თავის სიტყვას.

მასში საოცარი ჰარმონიულობით ერწყმოდა ერთმანეთს საკუთარი ძალის რწმენა, სიმშვიდე, თავდაჭერილობა, სიტყვაძუნწობა და მჩქეფარე ქართული, სამხრეთული ტემპერამენტი. მე იგი არ მინახავს გაფთრებული, გაბოროტებული, ნერვიული. პირიქით, მუდამ მშვიდი, ფლეგმატურიც კი, როგორც დიდი და ძლიერი ადამიანების უმეტესობა, თითქოს აუჩქარებლად, დინჯად მოძრაობდა მოედანზე და... უცებ, ერთბაშად აფეთქდებოდა. საერთოდ, ეს მხოლოდ ჭეშმარიტად დიდი სპორტსმენის თვისებაა: შეგეძლოს მოდუნდე, თითქოს მოეშვა, მაგრამ საჭირო მომენტში ელვის სისწრაფით ამოქმედდე, რათა აქამდე შემონახული ენერგია ერთბაშად გადმოაფრქვიო და სასურველი შედეგის მისაღწევად გამოიყენო. ასეთი სპორტსმენი იყო, მაგალითად, ბობროვი; ასეთი სპორტსმენი იყო ოთარ ქორქიაც. იგი იბრძოდა თავგანწირვით, მთელი მონდომებით, ბოლომდე. გამუდმებით მოითხოვდა პასს. კალათში ბურთის ჩაგდება უყვარდა, მაგრამ ინდივიდუალური თამაშის ზომა იცოდა. საერთოდ, თამაშობდა მარტივად, მაგრამ არა პრიმიტიულად; გუნდისთვის თამაშობდა, მაგრამ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, მყისვე თვითონვე ტყორცნიდა. ტყორცნა კი ზუსტი იცოდა.

მხოლოდ ერთხელ ვნახე ოთარი დაბნეული. ორმოცდახუთმეტი წელი იყო. კაუნასში მას პირველად მოუხდა თამაში კრუმინშის წინააღმდეგ. ამ დროს ოთარს მთავარი გზა უკვე გავლილი ჰქონდა, „დიდი იანი" კი ის-ის იყო, გამოჩნდა სარბიელზე. იმ დროისათვის ცოტა რამ უკვე მოვასწარი მესწავლებინა. ასე რომ, ბრძოლა უაღრესად საინტერესო გამოდგა. მანამდე ჩვენს კალათბურთში ოთარ ქორქიას ბადალი არ ჰყავდა, თუ არ ჩავთვლით უვაის ახტაევს, „დინამოში" თამაშობდნენ ქორქია, ინწკირველი, ზამბარასავით მოქნილი მცველი ჯორჯიკია (ის და ოთარი მართლაც შეუდარებელ წყვილს ქმნიდნენ), ჟღენტი, ძმები მესხები, კეკელიძე. ერთი სიტყვით, მაშინ ეს იყო ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი. თანდათან სოლიდური კოლექტივი ჩამოყალიბდა ჩვენთან, რიგაშიც. ასე რომ, კრუმინშს დამხმარეებიც კარგი ჰყავდა.

მატჩი დაძაბული გამოდგა. ოთარმა ვერაფერი მოუხერხა ახალბედა კრუმინშს. „მჭიდრო" თამაშიც კი სცადა, როგორც თვით მას ეთამაშებოდნენ ყოველთვის, მაგრამ არც ამან გაჭრა. იანი დინჯად, აუღელვებლად ირჯებოდა. მომეჩვენა, რომ განცვიფრებისა და მრისხანებისგან ოთარი სახეზე წამოჭარხლდა.

მიუხედავად ამისა, იგი კიდევ დიდხანს თამაშობდა, 60-იან წლებამდე. დარჩა რა მთავარ გმირად საკავშირო სარბილზე, ოთარმა ბევრი რამ ასწავლა ახალგაზრდა კალათბურთელებს, რომლებსაც იგი უნდა შეეცვალათ. ეს სწრაფი კალათბურთელი (მიუხედავად თავისი ზორბა სხეულისა), შესანიშნავად წარმართავდა კონტრიერიშებს და პარტნიორებთან ერთად წინ გაჭრასაც კი ასწრებდა. ოთარ ქორქიას არასოდეს უთამაშია გარეგნული ეფექტის მოსახდენად — თამაშობდა მხოლოდ პროდუქტულად, მხოლოდ კოლექტიურად. იგი შესანიშნავად ტყორცნიდა როგორც ერთი, ისე მეორე ხელით. ერთხელ ხელთათმანებით გამოცხადდა მოედანზე. ყველა გაოცდა, მან კი მშვიდად აუხსნა ამხანაგებს: თამაშის დაწყებამდე ხელები თბილად მინდა მქონდესო.

ერთთავად რაღაცას იგონებდა, რაღაცას ეძიებდა, ასეთი იყო თამაშში, ასეთი დარჩა შემდეგშიც. ეძიებდა და ხშირად პოულობდა კიდეც. ტოკიოს ოლიმპიადის წინ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებთან მუშაობდა. მე ვთხოვე გამოეკვლია და შეემოწმებინა, რა გავლენას ახდენს სიმაღლე კალათბურთელთა მომზადებაზე. მან მართლაც მოგვაწოდა მეტად საინტერესო მოსაზრებები, რაც შემდეგ მეხიკოს ასპარეზობისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ...

ოთარ ქორქია იყო ის კაცი, ვინც გამუდმებით ლაპარაკობდა ცენტრის მოთამაშეთა პრობლემებზე. ჰელსინკის შემდეგ (მან ხომ სხვებზე უკეთ შეითვისა გოლიათ ამერიკელებთან ბრძოლის გაკვეთილები და გამოცდილებაც დააგროვა) იგი დაუღალავად იმეორებდა, რომ აუცილებელია ტანმაღალ მოთამაშეთა გამუდმებული და მიზანმიმართული ძიება.

ოთარი რაღაც მამობრივი მზრუნველობით, მე ვიტყოდი, სინაზითაც კი ეკიდებოდა ახალგაზრდებს. მისთვის სულ ერთი იყო, ვინ რომელ გუნდში თამაშობდა. მართლაც, ქორქიაზე უკეთ ვინ აგულიანებდა მათ, ვინ გაამხნევებდა, ვინ ჩაუნერგავდა საკუთარი ძალის რწმენას? იგი უამრავ დროს უთმობდა ახალგაზრდებს როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. პარტნიორებიცა და მეტოქეებიც მუდამ სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ, თუმცა ბევრი წლების მანძილზე თამაშობდა მის გვერდით როგორც კლუბში, ისე ნაკრებში...

ალექსანდრე გომელსკი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

„თორთლაძე იწვევს... საკანდელიძეს"

ერთ დროს ქუთაისი დიდი კალათბურთით ცხოვრობდა, ყველა მატჩი ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო. მაგრამ ყველაფერი ეს დღეს მხოლოდ ხანშიშესულ ქუთათურებს თუ ახსოვთ. ერთ დროს საკავშირო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე ქუთაისის გუნდებზე მხოლოდ ლეგენდები შემოგვრჩა. დიახ, ბაზების უქონლობამ თავისი გააკეთა და ქუთაისი დიდი კალათბურთის მიღმა აღმოჩნდა, ახლა მხოლოდ იმით ვამაყობთ, რომ ნიჭიერ პერსპექტიულ სპორტსმენებს ვზრდით.

წლების მანძილზე, ჩუმად „ჩაკეტილ კარებში" ტარდებოდა მოსწავლეთა პირველობების თუ სპარტაკიადების პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე მატჩი, ეს იყო და ეს, არადა ახალგაზრდებს საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი თამაში სჭირდებათ.

და აი, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექციის და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ინიციატივით ჩატარდა ამავე ქარხნის საბინაო კომუნალურ განყოფილებასთან არსებული სულიკო თორთლაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ღია პირველობა კალათბურთში. თორთლაძის სახელობის კლუბს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს თბილისის გლდანის რაიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტულ კლუბთან. ჰოდა, „თორთლაძეებმაც" პირველად „საკანდელიძეები" მოიწვიეს საასპარეზოდ. მათთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფოთის და ქუთაისის განათლების განყოფილებების, სპორტსაზოგადოება „დინამოს", ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტული სკოლის 1972-1973 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდმა „ბალახვანმა" (მწვრთნელები ზ. დოლაბერიძე და შ. ჯავახიშვილი) დაიკავა. ეს იმ სკოლის გუნდია, სადაც სულიკო თორთლაძე წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა. მეორე ადგილზე ზ. საკანდელიძის სახელობის კლუბის გუნდი გავიდა (მწვრთნელი გ. გვალია), მესამეზე — ფოთელთა კოლექტივი (მწვრთნელი გ. ქორქია).

გოგონათა შორისაც მასპინძლები იყვნენ პირველნი — ჩემპიონობა ს. თორთლაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტკლუბ „აისის" გუნდმა (მწვრთნელები ი. მელაძე, თ. ყუბანეიშვილი) მოიპოვა, მეორე ადგილი წილად ხვდა ფოთელთა გუნდს, ხოლო მესამეზე „აისის" მეორე გუნდი გავიდა.

შეჯიბრების საზეიმოდ დახურვის წინ კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა. ჭაბუკთა შორის გამარჯვებული „ბალახვანი" საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ნაკრებს შეხვდა. აქაც მასპინძლებმა იმარჯვეს.

ასე დამთავრდა ეს საინტერესო, დამწყები კალათბურთელებისათვის მეტად საჭირო ასპარეზობა. ორგანიზატორთა აზრით, კარგი იქნება თუ შეჯიბრება საკავშირო გახდება, ეს ხელს შეუწყობს ნორჩ კალათბურთელთა დაოსტატებას. ამ მატჩში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ქუთაისში უყვართ და ენატრებათ კალათბურთის თამაში. დიახ, დროა, ქუთაისში კვლავ აღორძინდეს სპორტის ეს სახეობა და ამ საქმეს სწორედ ძველი თაობის კალათბურთელებმა უნდა მოკიდონ ხელი — გვინდა თორთლაძემ გამოიწვიოს საკანდელიძე.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს" საკ. კორ.

ქუთაისი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დიდი გამოცდა წინ ელით



ეკა ბედოევა. ინგა მეტრეველი, ფატი გასიშვილი.

(დასასრული)

სახტომ ბილიკზე ვერ ვიხილეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ფატი სულაქველიძე. მისმა მწვრთნელმა ჯუმბერ ლაშხმა თქვა, რომ საკავშირო ჩემპიონატის წინ ფატის დასვენება სჭირდება. ვაჟთა აკრობატულ ხტომებში საქართველოს ნაკრების ლიდერებმა, მსოფლიო თასის გათამაშების ვერცხლის პრიზიორმა, 24 წლის გია მარმარაშვილმა და მასზე ხუთი წლით უმცროსმა საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა ჯონდო მარიდაშვილმა ჩვეული ოსტატობით მოგვხიბლეს, გიამ მცირე უპირატესობით მეხუთედ დაისაკუთრა ჩემპიონის სახელი.

როგორ სპორტულ ფორმაშია ჩვენი გუნდი? საქმე ის არის, რომ მათ სეზონის დასაწყისში ყოველთვის უჭირთ. უჭირთ იმიტომ, რომ არა აქვთ შესაფერისი სავარჯიშო პირობები. ჩვენი ნაკრები საქართველოს ჩემპიონატისთვის ბათუმში ემზადებოდა. აჭარის განათლების სამინისტროს ტანვარჯიშული დარბაზი კი თურმე ცუდად თბება ან სულ არ თბება. მწვრთნელებმა თქვეს, ერთხელ ხუთ გრადუს სიცივეში ვმეცადინეობდითო. მაგრამ ისინი — მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილი მომავალი შეჯიბრების წინ.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ორ ჯგუფად (სიძლიერის მიხედვით) ჩატარდება. პირველ ჯგუფში გამოვლენ რსფსრ-ის, უკრაინის, საქართველოს, ლენინგრადის, ბელორუსიისა და მოსკოვის გუნდები. ბოლო ადგილზე გასული გუნდი მომავალ წელს მეორე ქვეჯგუფში გადავა. ჩვენი აკრობატების მიზანია ქვეჯგუფში შეინარჩუნონ ადგილი.

შორენა ბაკურაძე.



რომანოზ კუხალეიშვილი, ირინა ოვოიანი.

ტექნიკური შედეგები:

ქალები. ხტომები. მადონა კილაძე (მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი) — 27,3, მაია ზაუტაშვილი — 27,12, ნინო როსტიაშვილი — 26,89 (ყველა — თბილისი); **წყვილები.** ნატაშა ვეტოშკინა, მზიური კოსტავა (მწვრთნელი ნელი აფაქიძე, აჭარა) — 42,58, თამარ ბეროზაშვილი, თინა ვარდიძე — 27.96, სვეტლანა ტოლინჯაშვილი — მანანა ლურსმანაშვილი — 24,76 (ორივე—თბილისი); **ჯგუფური.** ეკა ბედოევა, ინგა მეტრეველი, ფატი გასიშვილი (მწვრთნელი გია კაკაშვილი. თბილისი) — 28,16, შორენა ასათიანი, თეა გაბელაშვილი, ვენერა კოხრეიძე (ქუთაისი) — 27,26, სვეტლანა ფედოსოვა, ანაიდა ჩერმაკიანი, სვეტლანა ბაუერი (რუსთავი) — 27,16.

გია მარმარაშვილი.

ვაჟები. ხტომები. გია მარმარაშვილი (მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი) — 49,66, ჯონდო მარიდაშვილი — 48,35, ხვიჩა ფარესაშვილი (ყველა — თბილისი) — 27,1; **წყვილები.** დავით სამუნაშვილი, ალექსი ტოლინჯაშვილი (რუსთავი) — 33,56, ზაზა ნინუა, ზვიად კვაჭაძე (თბილისი) — 27,09; **ჯგუფური.** ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია, ემზარ აბუაშვილი (მწვრთნელი ალექსანდრე მავრანგელოვი) — 55,03, გოდერძი ახობაძე, გია ალაპიშვილი, ოლეგ სლივკოვი, ვახტანგ ბოტკოველი, — 53,08. აკაკი საბაშვილი, თამაზ მღებრიშვილი, რამაზ ბუზიაშვილი, როინ სომხიშვილი (სამივე — თბილისი).

შერეული წყვილები: რომანოზ კუხალეიშვილი, ირინა ოვოიანი (მწვრთნელი გია მახარაშვილი, თბილისი) — 41,18, ელენა მიგოვა, ნიკოლოზ ნაჭყებია (რუსთავი) — 23,06, ჰამლეტ ღარიბოვი, კარინა სარქისიანი (თბილისი) — 18,2.

გუნდური. თბილისი — 523,952, რუსთავი 413,88, ქუთაისი — 174,778, აჭარა — 157,318, აფხაზეთი — 73,90.

ნატაშა ვეტოშკინა, მზიური კოსტავა.

დავით სამუნაშვილი; ალექსი ტოლინჯაშვილი.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

დღეს მეოთხედფინალური მატჩებია

ევროპის ტურნირები

დღეს გაიმართება ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრები.

სსრ კავშირის ორი გუნდი განაგრძობს ამ მეტად საპრესტიჟო ტურნირებში მონაწილეობას. ევროპის ჩემპიონთა თასზე კიევის დინამოელები მეტოქის მინდორზე შეხვდებიან თურქეთის „ბეშიქთაშს“ (ქ. სტამბოლი), ხოლო მოსკოვის ტორპედოელები თასების მფლობელთა თასზე საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ითამაშებენ ადგილობრივ „ჟირონდასთან“.

1986-87 წლების ევროპის საკლუბო გათამაშებებში შარშან მონაწილეობდა ხუთი ჩვენი კლუბი. ზემოთ დასახელებული საბჭოთა გუნდების გარდა უეფა-ს თასზე გამოდიოდნენ მოსკოვის „სპარტაკი“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და მინსკის „დინამო“, მაგრამ გათამაშების სხვადასხვა ეტაპზე სამივე ჩვენი გუნდი გამოაკლდა შეჯიბრებას, მეოთხედფინალში გავიდნენ მხოლოდ კიევის დინამოელები და მოსკოვის ტორპედოელები.

საინტერესოა, რომ სსრ კავშირი ევროპის საკლუბო გათამაშებათა კოეფიციენტის ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფება. პირველ ადგილზეა იტალია, რომლის კოეფიციენტის ჯამი 41.216 ქულას უდრის, ჩვენ გვაქვს 35.850 ქულა, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — 34.332. სწორედ ამ სამ სახელმწიფოს აქვს უფლება დებულების თანახმად უეფა-ს თასზე გამოიყვანოს გუნდების მაქსიმალური რაოდენობა 4-4. თბილისის „დინამო“, რომელმაც შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა, წლეულს სწორედ უეფა-ს ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

საკავშირო ტელევიზია პირველი პროგრამით 19 საათიდან (თბილისის დროით) გადასცემს თურქეთის „ბეშიქთაშისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩის რეპორტაჟს. ამავე პროგრამით გათვალისწინებულია საფრანგეთის „ბორდოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრის ტრანსლაცია საფრანგეთიდან 23 საათსა და 30 წუთიდან, ასევე თბილისის დროით.

საბჭოთა ფეხბურთელთა ეს შეხვედრები დიდ ინტერესს იწვევს. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრშია ჩემპიონთა თასის მატჩი „ბეშიქთაშთან“. ეს კლუბი ერთ-ერთი უძველესია თურქეთში (დაარსდა 1903 წელს), მისი 6 მოთამაშე თურქეთის ნაკრებში გამოდის, მეკარე ერკოვიჩი იუგოსლაველია და უწინ თავისი ქვეყნის ნაკრებშიც თამაშობდა. მართალია, წინასწარი პროგნოზით სპეციალისტები უპირატესობას კიევის „დინამოს“ ანიჭებენ მეოთხედფინალის ორ მატჩში, მაგრამ „ბეშიქთაში“, ცხადია, არაფერს დაიშურებს წარმატების მისაღწევად, ვინაიდან ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის საგზურის მოპოვება ევროპის ნებისმიერი გუნდისთვის დიდად საპატიო საქმეა. ამ კლუბის ბოლოდროინდელ წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვის იუგოსლაველ მწვრთნელს ბ. სტანკოვიჩს, თუმცა, ამ პოსტზე შარშან იგი სხვა იუგოსლაველმა სპეციალისტმა მ. მილუტინოვიჩმა შეცვალა. გუნდის შემადგენლობაში ერკოვიჩის გარდა თამაშობენ იუგოსლაველი ფორვარდი პაპიჩი, ძლიერი ფეხბურთელები მეტინი, ფეიაზი, რიზა და სხვანი.

„ბეშიქთაში“ რამდენიმეჯერ მონაწილეობდა ჩემპიონთა თასის ტურნირში, მაგრამ მეოთხედფინალს პირველად მიაღწია.

ქ. ბორდოს გუნდი საფრანგეთის სამგზის ჩემპიონია და შარშანდელი თასის მფლობელიც. „ბორდო“ გამოირჩევა სტაბილური, სოლიდური თამაშით, აქ გამოდიან საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები მეკარე ბატსი, მცველები ბატისტონი, სპეშტი, ტუზენელი, ნახევარმცველი ტიგანა, საერთაშორისო ფეხბურთში ცნობილი ძმები ზლატკო და ზორან ვუიოვიჩები, პორტუგალიელი შალანა.

ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები გაიმართება 18 მარტს, კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ ამჯერად უკვე შინ მიიღებენ მეტოქეებს.

პროგრესი აშკარაა

დასასრული

პლექსში ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ პრიზზე გამართულ VI საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ. ასპარეზობამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ბილეთები დიდი ხნით ადრე გაიყიდა.

ამ ორი ქვეყნისა და საბჭოთა სპორტსმენების გარდა სარბიელზე გამოვიდნენ იტალიის, შვეციის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და კუბის წარმომადგენლები. სულ 60-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. მათ შორის, იყვნენ თბილისელი სპორტსმენებიც.

აღსანიშნავია, რომ თბილისელმა ხრისტინა ფალავანიდიმ ამ შეჯიბრებაში პირველად შარშან მოსინჯა ძალა, ოღონდ მაშინ კონკურსგარეშე გამოდიოდა, თანაც მხოლოდ სავალდებულო პროგრამით, ახლა კი საბჭოთა ნაკრების სრულუფლებიანი წევრი იყო. ხრისტინამ „სკოლაში“ XVI ადგილი დაიკავა, ერთეულთა გამოსვლაში VII-IX ადგილები გაიყო, ხოლო წყვილთა ასპარეზობაში ლენინგრადელ ელენა დოლჟენკოსთან ერთად IX ადგილზე გავიდა.

საინტერესოა, რომ საბჭოთა სპორტსმენებს შორის ფალავანიდი-დოლჟენკოს წყვილმა III ადგილი დაიკავა, რაც დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

თბილისელთა წინსვლაზე მეტყველებს ისიც, რომ შეჯიბრებაზე რამდენიმე ჩვენი სპორტსმენი კონკურსგარეშე დაუშვეს.

წყვილთა გამოსვლაში უძლიერესები იყვნენ კანადელი ტრეისი მიდსისი და კარენ ლარსენი. მეორე ადგილი ამერიკელ სიუზენ რიდტრეისი ლონგის წყვილმა დაიკავა. ელექტროსტალელმა ირინა ჟუკოვამ და მოსკოველმა ტატიანა ტიტოვამ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მეოთხე იყო მოსკოველი ალფია ქამალეტდინოვა — მარია ჩერნიაევას წყვილი.

ერთეულთა თანრიგში ყველას კრისტენ ბაბმა (აშშ) აჯობა.

— საბჭოთა სპორტსმენებს ოსტატობა აუმაღლებიათ, — თქვა კანადელთა ნაკრების ხელმძღვანელმა მერი ენ რივესმა — მათი მომზადება შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესია. ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობისას თქვენი სპორტსმენები წყლის ზედაპირზე ბევრ მოძრაობას ასრულებენ, რაც ძალიან კარგია და რასაც მსაჯებიც სათანადოდ აფასებენ.

— ეს შეჯიბრება ახალგაზრდებისათვის ჩინებული სკოლა გამოდგა, —თქვა ფინას ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარემ სინქრონულ ცურვაში ჯუდი მაკგოვანმა (აშშ).

ამას ხელი თავად მაკგოვანმა შეუწყო, როცა კანადელებთან მოსკოვის ოლიმპიურ აუზში საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა.

მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში



ხუთიდან ოთხი ოქროს მედალი

დელიში დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში გათამაშებული ხუთი ოქროს მედლიდან ოთხი ჩინეთის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ცზიან ცზიალიანი, რომელმაც ფინალში შვედი იან-უვე ვალდნერი დაამარცხა — 3:1. ქალებში ოქროს მედალი ხე ჩჟილმა მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან სამხრეთ კორეის წარმომადგენელს იან იუნ ჩჟას აჯობა — 3:0.

ვაჟთა დუეტებში უძლიერესი იყო ჩენ ლუნცანისა და ვეი ცინგუანის წყვილი, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში იუგოსლაველები ილია ლუპულესკუს და ზორან პრიმორაცის დუეტი დაჯაბნა — 2:1. მეოთხე ოქროს მედალი ჩინეთის გუნდს შერეულმა წყვილმა მოუტანა. ჩემპიონები გახდნენ ხუეი ცზიუნი და გენ ლიცზიუანი.

ჩინელებმა მხოლოდ ქალთა წყვილებში დათმეს პირველობა. მსოფლიო ჩემპიონები აქ სამხრეთკორეელები ხუნ ცზიუნ ხვა და აიან იუნ ჩჟა გახდნენ.

სპორტპროგნოზი

მეთერთმეტე ტირაჟის წყვილები

(14-18 მარტი)

1.	ფეხბურთი. „დნეპრი“ — „ზენიტი“.	14. III.
2.	ფეხბურთი. „შახტიორი“ — „ქაირათი“.	14. III.
3.	ფეხბურთი. ცსკა — „ალგირისი“	14. III.
4.	ფეხბურთი. „გურია“ — „სპარტაკი“.	14. III.
5.	ფეხბურთი. „ნეფთჩი“ — „მეტალისტი“.	14. III.
6.	ფეხბურთი. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი).	15. III.
7.	ჰოკეი „კრ. სოვეტოვი“ — „ტორპედო“ (გორკი).	16. III.
8.	ჰოკეი. „დინამო“ (რიგა) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი)	16.III.
9.	ჰოკეი. „სოკოლი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).	16.III.
10.	ჰოკეი (გადასასვლელი ტურნირი). „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი).	14. III
11.	ფეხბურთი (ჩემპიონთა თასი). „დინამო“ (კიევი) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი).	18.III.
12.	ფეხბურთი (თასების თასი). „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ბორდო“ (საფრანგეთი).	18.III.
13.	ფეხბურთი (ჩემპიონთა თასი). „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ბავარია“ (გფრ)..	18. III.

შენიშვნა: ფეხბურთელთა ევროპის თასების მატჩებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითად დროში ნაჩვენები შედეგები.

გრძელი, ძნელი გზის დასაწყისი

(დასასრული)

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელები კოლექტიურად, მთელ მინდორზე, მაღალი ტემპით თამაშობენ, თუ აუცილებელია, არც ერთი მათგანი არ თაკილობს ეგრეთ წოდებული შავი სამუშაოს შესრულებას, ცდილობს თანაგუნდელთა შეცდომის დროულად გამოსწორებას. დიდი ყურადღება ეთმობა ბურთის წართმევის კოლექტიური ხერხის დამუშავებასა და სრულყოფას.

ერთხელ მწვრთნელებმა ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: „სიგმასთან“ შეხვედრა სამი მცველით დაიწყეს, მაგრამ ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა — თამაშმა ქაოსური ხასიათი მიიღო და მეორე ნახევრის დასაწყისში „დინამო“ ისევ ჩვეულ განლაგებას დაუბრუნდა. მოგვიანებით კახი ასათიანმა გვითხრა: სამი მცველით თამაში ჩვენთვის ჯერ ადრეაო. მართლაც, დავიცადოთ, ნუ ავჩქარდებით, მაგრამ ნურც გავჩერდებით, ნუ შევწყვეტთ შემოქმედებით ძიებას. ხვალინდელ დღეზეც უნდა ვიფიქროთ. მით უმეტეს, გუნდში არაერთი იმედის მომცემი, ჯერ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელია. გარდა ამისა, უკვე შეიქმნა „დინამოს“ სარეზერვო გუნდი „დინამო-2“. რომ იტყვიან, ყინული დაიძრა, რაც მთავარია, საქმე კეთდება, უკეთესი ვარიანტების ძიება გრძელდება. მწვრთნელები ამ ძიებისას ალბათ კიდევ არაერთ ექსპერიმენტს მიმართავენ. ისევე როგორც ყველა დიდ საქმეში, ამ ექსპერიმენტების მეტი ნაწილი ექსპერიმენტადვე დარჩება (აბა რის ექსპერიმენტია?!), მაგრამ თითოეული მათგანი გაგვამდიდრებს, შეგვძენს რაღაც ახალს, რაც საბოლოო ანგარიშით სასურველი მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

გუნდის თამაშის ამა თუ იმ ასპექტზე დეტალური მსჯელობა ახლა აუცილებლად არ მიგვაჩნია საკავშირო ჩემპიონატი, და უშუალოდ მწვანე მინდვრებზე გამართული უშეღავათო ორთაბრძოლები თავისთავად დაგვანახებენ კარგსაც და ნაკლსაც. კატეგორიული მსჯელობა და დასკვნების გამოტანა მაშინ უფრო მიზანშეწონილი იქნება. იმის მისახვედრად, რომ კარგ გუნდს ერთი ხელის დაკვრით ვერ შექმნი, სულაც არ არის საჭირო ფეხბურთის ღრმა ცოდნა. ისეთი კოლექტივის ჩამოყალიბებას, ქართველ გულშემატკივართა გემოვნებას და მოთხოვნებს რომ დააკმაყოფილებს, შეიძლება ორი-სამი წელი ან ცოტა მეტიც დასჭირდეს, მანამდე კი ქომაგები მხარში უნდა ამოუდგნენ გუნდს. ჭეშმარიტი გულშემატკივარი მომთმენია. იგი მხოლოდ უპასუხისმგებლობას, უმოქმედობას, მაყურებლის მიმართ უპატივცემლობას არ აპატიებს გუნდს, თორემ კარგად ახსოვს ჭეშმარიტება: არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს. როგორც ყოველთვის, ახალ სეზონშიც იქნება სასიხარულო გამარჯვებები და გულდასაწყვეტი დამარცხებები, მაგრამ არც წარუმატებლობა უნდა მივიღოთ ტრაგედიად და არც წარმატებამ უნდა დაგვახვიოს თავბრუ! წინ დიდი, ძნელი გზა გვიდევს.

ზურაბ ფოცხვერია,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ლესელიძე.

სპორტული მარტი

რესპუბლიკური ღონისძიებები

4-6. მშვილდოსნობა — საქართველოს პირველობა ქალთა შორის, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი. **თბილისი.**

4-24. ჭადრაკი — საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის, I წრე. **სამტრედია.**

5-10. სამთო-სათხილამურო სპორტი — საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრება სლალომში და სწრაფდაშვებაში. **ბაკურიანი.**

5-27. ჭადრაკი — საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის (ფინალი). **თბილისი.**

6-8. წყალბურთი — სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. I წრის მე-2 ტური. **თბილისი.**

8. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა — საქართველოს თასის გათამაშება. **ბაკურიანი.**

10-15. კრივი — საქართველოს ჩემპიონატი. **სოხუმი.**

13-15. სამბო — რესპუბლიკის გუნდური პირველობა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კლუბებს შორის. **ბორჯომი.**

13-15. ველოტრეკი — საქართველოს პირველობა 1969-71 წწ. დაბადებულ გოგონათა და იუნიორთა შორის. **თბილისი.**

13-18. სამთო-სათხილამურო სპორტი — საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრება სლალომში, სწრაფდაშვებაში, სუპერ გიგანტში და გიგანტურ სლალომში. **ბაკურიანი.**

14-15. აკადემიური ნიჩბოსნობა — საქართველოს თასის გათამაშება. **ფოთი.**

14-16. ქართული ჭიდაობა — საქართველოს პირველობა 1969-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხიღნალი.**

14-22. საგზატკეცილო ველორბოლა — სსრ კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო შეჯიბრება მრავალდღიან ველორბოლაში. კრიტერიუმის I და II ტური. **სოხუმი.**

16-19. სასტენდო სროლა — საქართველოს თასის გათამაშება იუნიორთა და მოზრდილთა შორის. **თბილისი.**

17-21. ტანვარჯიში — საქართველოს ჩემპიონატი მრავალჭიდში. **თბილისი.**

19-22. ცხენოსნობა — თასის გათამაშება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. **თბილისი.**

20. ბადმინტონი — საქართველოს თასის გათამაშება. **ქუთაისი.**

20-28. სამთო-სათხილამურო სპორტი — სსრ კავშირის პირველობა 1972-74 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ბაკურიანი.**

21-25. რაგბი — საქართველოს პირველობა 1971-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

21-27. ფეხბურთი — სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. **თბილისი.**

21-22. ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე) — საქართველოს თასის გათამაშება. **ფოთი.**

21-31. ფეხბურთი — საკავშირო ტურნირი 1971-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა მონაწილეობით, მიძღვნილი სსრ კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკის კ. ნ. ლესელიძის ხსოვნისადმი. **გაგრა.**

23-28. ტყვიის სროლა — რესპუბლიკური შეჯიბრება „ოლიმპიელები ჩვენს შორის“. 1971 წელს დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა მონაწილეობით. **სოხუმი.**

25-30. წყალბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1969-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. შესარჩევი შეჯიბრება (ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა). **თბილისი.**

26-29. სამბო — საქართველოს პირველობა 1971-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. **თელავი.**

26-30. თანამედროვე ხუთჭიდი — საკავშირო ტურნირი რესპუბლიკური ფედერაციის 1969-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

27-29. ძიუდო — საერთაშორისო ტურნირი 1970-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. კიკნაძის პრიზზე. **თბილისი.**

რეპლიკა

აარიდეთ თვალი რეკლამას!

რეკლამის დანიშნულება ყველას კარგად მოეხსენება. არის სპორტული შეჯიბრებები, რომლებიც განსაკუთრებულ რეკლამას არ საჭიროებენ — მათ ისედაც უამრავი ხალხი აწყდება, მაგრამ სტენდები, რომლებზეც ამ შეჯიბრებების აფიშებია გამოკრული, მაინც იტაცებს მზერას, გვიმაღლებს განწყობას, რაღაცას გვმატებს და გვახარებს. ცხადია, ლაპარაკია გემოვნებით შესრულებულ აფიშებზე, თორემ ისეთი, თბილისის სპორტის სასახლის სტენდებზე რომ ვხედავთ ბოლო ხანებში... მართალი ბრძანდებით, ჯობს სულ არ იყოს. დაბალი გემოვნების, პროვინციალიზმის ნიმუში თუ გნებავთ, სწორედ ეს არის. უფროსი თაობაც კი ძნელად გაიხსენებს, უკანასკნელად როდის იხილა ასეთი ულაზათო, გაუწაფავი ხელით შესრულებული აფიშა, სპორტულ თუ კულტურულ სანახაობებზე რომ იწვევდა თბილისელ მაყურებლებს. და აი, სპორტის სასახლის სარეკლამო სტენდებმა, რომელიც დედაქალაქში ყველაზე თვალსაჩინოდ ექვს ადგილზეა მოწყობილი, კვლავ შეგვახვედრა წარსულს. ამ სტენდზე სასიამოვნოს ვერაფერს ისილავთ, პირიქით, კაცი სირცხვილით დაიწვება და თვალსაც კი აარიდებს.

ამ დღეებში თბილისს კვლავ ეწვია დიდი კალათბურთი. იმ ულაზათო, პირდაპირ ვთქვათ ნაჯღაბნ აფიშებს, რომლებზეც რამდენიმე დღის წინ „სპარტაკი“ ეწერა, ახლა სადღაბავი გადაუსვეს და ცსკა „ჩასვეს“, ცხადია, ისედაც გონჯი აფიშა ამით კიდევ უფრო შეუხედავი გახდა. დღეს ალბათ ცსკა-ს ამოშლიან და „ვეფ“-ს ჩაწერენ. როგორ მოგწონთ? ეკონომიაც ამას ჰქვია!

მინაწერი: თბილისის სპორტის სასახლე ისევე, როგორც „დინამოს“ სტადიონი, ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა, ამიტომ მეტად უნდა გავუფრთხილდეთ მის ავტორიტეტს. ჯერ იყო, თავის დროზე უსახური სტენდები ჩაიდგა ქალაქში, მერე მდგომარეობა ასე თუ ისე გამოსწორდა, მაგრამ ახლა სტენდებს უგემოვნო აფიშებმა დაუკარგეს ლაზათი. განა ისეთი რა გვაფერხებს, რომ ეს მარტივი საკითხი ვერ გადაიჭრა? ამ თემაზე ადრეც გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ დაპირება იმის შესახებ, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა, სამწუხაროდ დაპირებად დარჩა.

ბოლო ეტაპზე დაკარგული ჩემპიონობა

მსოფლიო ჩემპიონატები „ფორმულა I“ კლასის ავტომობილებით 1950 წლიდან ტარდება, ეს რბოლები XX საუკუნის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. პოპულარობით იგი მხოლოდ ოლიმპიადას და ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს ჩამოუვარდება.

რბოლებს სპეციფიკური თავისებურებები აქვს: ყოველ ეტაპზე სარბიელზე გამოდის მხოლოდ 26 მრბოლელი. რბოლის დაწყებამდე ყოველმა მონაწილემ ერთი საწვრთნელი წრე უნდა გაიაროს. აქ ნაჩვენები შედეგის მიხედვით სპორტსმენებს სტარტზე ანაწილებენ — საუკეთესოებს პირველ რიგში აყენებენ.

მსოფლიო ჩემპიონატის ყოველ ეტაპზე ქულები ასე ნაწილდება: პირველი ადგილისა და „დიდი პრიზის“ მოგებისათვის სპორტსმენს ერიცხება 9 ქულა, II ადგილისათვის — 6, III—4, IV—3, V—2 და VI — 1 ქულა.

შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ძალზე საინტერესოდ წარიმართა. მეტოქეობა ასე დაძაბული არასდროს ყოფილა. სპეციალისტები ამას ახალი ტიპის მანქანების გამოჩენით ხსნიან. ანგარიშგასაწევია ახალი წესიც, რომლის მიხედვითაც ყოველი ეტაპის წინ მანქანაში მხოლოდ 195 ლიტრი ბენზინი ისხმება (ნაცვლად 220 ლიტრისა, რაც ადრე იყო დაშვებული).

პროგნოზების თანახმად, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები იყვნენ 1985 წლის ჩემპიონი ფრანგი ალენ პროსტი, რომელიც „მაკლარენ-პორშეს“ ფირმის ავტომობილით ასპარეზობს და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი ნელსონ პიკე, რომელიც „ვილიამს-ჰონდას“ ფირმის ავტომობილს მართავს.

სპეციალისტთა წინასწარმეტყველება პირველივე „დიდი პრიზის“ გათამაშებაში გამართლდა. ამ ეტაპზე, რომელიც ბრაზილიაში გაიმართა, ნელსონ პიკემ გაიმარჯვა. მაგრამ ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრო პიკეს თანაგუნდელმა, ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა, რომელიც პირველივე წრიდან ცდილობდა ლიდერის პოზიციის დაკავებას.

ეს სეზონი მისთვის სავსე იყო გამარჯვებით გამოწვეული აღტაცებითა და დამარცხების სინანულით. მაგრამ, ჟურნალისტთა აზრით, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მაინც საუკეთესო იყო ინგლისელი ავტომრბოლელისათვის. ამას მოწმობს მის მიერ ნაჩვენები შედეგებიც: 16 ეტაპიდან 5 „დიდი პრიზი“ (ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, ინგლისის და პორტუგალიის ეტაპები), 2 მეორე ადგილი, (ესპანეთი, იტალია), 2 მესამე ადგილი (გფრ, უნგრეთი), 1 მეოთხე ადგილი (მონაკო), 2 მეხუთე ადგილი (აშშ, მექსიკა). დანარჩენ ოთხ ეტაპზე (ბრაზილია, სანმარინო, ავსტრია, ავსტრალია) მან ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო, სულ დააგროვა 70 ქულა და მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა ამჯერად უკვე ორგზის ჩემპიონს ალენ პროსტს.

საერთოდ, მის მიერ მოპოვებული გამარჯვებებიდან აღსანიშნავია პორტუგალიის „დიდი პრიზის“ მოგება. პატარა საკურორტო ქალაქ ეშტორილის ტრასაზე, რომლის სიგრძეა 4 კმ და 350 მ 60 ათასი მაყურებელი შეგროვდა. ყველას აინტერესებდა, შეინარჩუნებდა თუ არა მენსელი პირველ ადგილს პირად ჩათვლაში. მრბოლელებს 70 წრე უნდა გაევლოთ. ამ ტრასაზე პირველი შემთხვევა იყო, როცა მთელ დისტანციაზე ერთი სპორტსმენი ლიდერობდა. მენსელმა სტარტიდანვე განაცვიფრა ყველა, მათ შორის შესანიშნავი „სტარტიორი“, ბრაზილიელი აირტონ სენა, რომელიც „ლოტუს-რენოს“ ფირმის ავტომობილით გამოდიოდა. მენსელის „ჰონდა“ ელვისებური სისწრაფით მიჰქროდა. სწორედ პორტუგალიაში გამოავლინა ნაიჯელმა მთელი თავისი ოსტატობა. ჟურნალისტთა აზრით, მან სახელგანთქმული ჯიმი კლარკის სტილში მოიგო.

ალენ პროსტი.

ჩემპიონატის ბოლო ეტაპი, ფინალი, ავსტრალიაში, ადელაიდის ტრასაზე გაიმართა. მენსელი ახლოს იყო გამარჯვებასთან. მას მესამე ადგილიც ჰყოფნიდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის. სტარტიდანვე წინ გავიდნენ ნელსონ პიკე და თვით მენსელი. დაახლოებით 65-ე წრეზე მენსელის ავტომობილის უკანა საბურავი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ნაფლეთებად იქცა. მართალია, დაზიანებული საბურავის გამოცვლა სწრაფად მოხერხდა, მაგრამ მენსელმა დაკარგული დრო ვერ აინაზღაურა და საპრიზო ადგილს მიღმა დარჩა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ალენ პროსტს ხვდა.

„ყველაფერი კარგად დაიწყო. ძრავა შესანიშნავად მუშაობდა. მე თითქმის არ ვაკონტროლებდი მანქანას. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი გადავრჩი. ამ დროს ჩემი „ჰონდა“ 320 კმ-სთ სიჩქარით მიჰქროდა“, განაცხადა ნაიჯელ მენსელმა.

ნაიჯელ მენსელი დაიბადა 1954 წელს ინგლისის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. 1978 წელს 24 წლის ნაიჯელმა მიატოვა საავიაციო ქარხანა, სადაც ინჟინრად მუშაობდა, იმისათვის, რომ ავტორბოლებში მიეღო მონაწილეობა. იგი დიდი ბრიტანეთის ჩემპიონია „ფორდი 1600“ ფორმულის ავტომობილებით რბოლაში. ინგლისში ბრენდს ჰეტჩის ტრასაზე კატასტროფის შემდეგ, როცა ხერხემალი დაუზიანდა, ექიმებმა მას საერთოდ აუკრძალეს საჭესთან ჯდომა.

მაგრამ დიდი ნებისყოფის მქონე სპორტსმენმა დაამტკიცა, რომ მისი „ჩამოწერა“ ჯერ კიდევ ადრე იყო. ტრავმიდან ერთი წლის შემდეგ მენსელს თვალი დაადგა „ლოტუსის“ ფირმის მფლობელმა კოლინ ჩეპმენმა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ავტომრბოლელის წვრთნას, ამზადებდა მას მომავალი გამარჯვებისათვის. 1980 წლიდან ნაიჯელ მენსელი „ჰონდის“ ფირმის ავტომობილით ასპარეზობს.

სწორედ მან მოუტანა გამარჯვება შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში „ჰონდის“ ფირმის მფლობელს ფრენკ ვილიამსს და ავტომობილის კონსტრუქტორებს. „ვილიამს ჰონდა“ 141 ქულით მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

წლევანდელ ჩემპიონატში მოსალოდნელია ცვლილებები. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ალბათ კვლავ იასპარეზებენ „რენოს“ და „ალფა რომეოს“ ფირმის ავტომობილები. მოსალოდნელია ყველასათვის უცნობი იაპონელი ავტომრბოლელის სატორუ ნაკაჰიმას დებიუტი „ლოტუს რენოს“ ფირმის ავტომობილით. ცვლილებებია გუნდებშიც.

თვით ნაიჯელ მენსელი ფიქრობს „ფერარის“ საჭეს მიუჯდეს და ხელი მოაწეროს ამ ფირმასთან კონტრაქტს.

დავით ჩუბინიძე.

ტელეტაიპი-მკითხველი

ჰავანა. „პედრო მარეროს“ სტადიონზე 19 წლის მძლეოსანმა რობერტო ერნანდესმა 400 მეტრზე რბენაში 44,61 აჩვენა. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა.

ლინცი (ავსტრია). გფრ-ის ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა კარლო ტრეინჰარდტმა ადგილიდან სიმაღლეზე ხტომაში 176 სანტიმეტრი დასძლია. ეს შედეგი არაოფიციალური მსოფლიო მიღწევაა. ძველი კი მსოფლიო რეკორდსმენის (დახურული დარბაზებისთვის) შვედ პატრიკ შიობერგს ეკუთვნოდა.

ნაგოია. იაპონიის ამ ქალაქში გაიმართა ქალთა ტრადიციული მარათონი, რომელიც 35 წლის ჰოლანდიელმა კარლ ბეირსკენსმა მოიგო. დისტანცია მან 2:28.27,0-ში გაირბინა.

ლოს-ანჯელესი. ვაჟთა საერთაშორისო მარათონში პირველი ადგილი კანადელმა არტ ბუალომ დაასაკუთრა—2:13,08. ქალთა შორის გამარჯვება ამერიკელ ნენსი დიტცს ხვდა წილად — 2.35.24.



ცენტრალური ტელევიზია. 4. მარტი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი: „ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „დინამო“ (კიევი) **19.00 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფრენბურთში: „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) — „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — **22.40 (2);** სპორტული პროგრამა — **23.30 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 4 მარტი. ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი: „ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „დინამო“ (კიევი)— **20.00;** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) — **20.45.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ადრესი: 86484 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096. თბილისი, ლენინის ქ № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 06797